ფეხბურთი
მეექვსე ფრე

21 ივლისს თბილისის "დინამო" სტალინგრადის "ტორპედოს" წინააღმდეგ კვლავ შეცვლილი შემადგენლობით გამოვიდა: ცენტრად მახარაძე იყო, პანიუკოვი–მარცხენა გარემარბად, ხოლო ზაზროშვილი და არუშიძე სრულებით არ თამაშობდნენ.

სტუმრები პირველ ტაიმში ქარის წინააღმდეგ თამაშობდნენ. თბილისელები ამ ხელსაყრელ გარემოებას მხოლოდ საჯარიმო მოედნამდე იყენებდნენ. ისინი განუწყვეტლივ უტევდნენ მოწინააღმდეგის კარს, მაგრამ არაზუსტად. პირველი წუთებშივე მათ გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს.

მე–10 წუთზე სტალინგრადელებმა გაარღვიეს "დინამოს" დაცვის ხაზი, მარჯვენა ფრთაზე კომბინაცია გაითამაშეს, ცენტრფორვარდმა მიიღო ბურთი, გაიჭრა წინ და ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში.

ამ მარცხს თბილისელებმა ენერგიული, კოლექტიური იერიშით უპასუხეს: მე–15 წუთზე ღოღობერიძემ გაიტაცა ცენტრიდან ბურთი, გაუსწრო მცველებს, მაგრამ სტუმრების ერთ–ერთმა მცველმა უხეშად დაჰკრა ფეხი, რის შედეგადაც ღოღობერიძემ მოედანი დასტოვა. იგი თოდრიამ შეცვალა, რომელსაც ასეთი საპასუხისმგებლო მატჩისათვის გამოცდილება აკლდა და ამიტომ გუნდისათვის სასარგებლო არა გაუკეთებია რა. შუა თამაშში გ. ჯეჯელავა, რომელიც ამ დღეს ძლიერად თამაშობდა, აკეთებს ღრმა რეიდს, ოსტატურად უსხლტება სამ დამცველს და აწოდებს კარისკენ. ბურთს იღებს პანიუკოვი და აქვეითებს ანგარიშს.

მეორე ტაიმში ინიციატივა თბილისელების ხელშია, ისინი მოწინააღმდეგის კარის წინ ტრიალებენ, განუწყვეტლივ "ბომბავენ" მას, მაგრამ შედეგი არა ჩანს. მე–10 წუთზე "ტორპედოს" კარის წინ ბურთისათვის ცხარე ბრძოლა გაიმართა, ახლო მანძილიდან ანთაძემ ძლიერად დაარტყა, მეკარემ ბურთი მოიგერია, მაგრამ მიუსწრო მახარაძემ და ანგარიში გაადიდა (2:1)

სტუმრები კვლავ ცალკეული გარღვევით პასუხობენ ერთი ასეთი მომენტი მათ გოლით დააგვირგვინეს, მარღანია კარიდან შორს გამოვიდა, მაგრამ უშედეგოდ, უკან დაბრუნება დააგვიანა და მისი შეცდომა საბედისწერო აღმოჩნდა: ბურთი ბადეში გაეხვია. ანგარიშით – 2:2 – დამთავრდა ეს თამაში. გათამაშებაში თბილისელებმა თავისებური "რეკორდი" დაამყარეს –6 ფრე!

1948 წლის სსრ კავშირის პირველობის გათამაშების პირველი წრე ასეთი შედეგით დამთავრდა: პირველ ადგილზეა მოსკოვის "დინამო", მეორეზე – მოსკოვის "სპარტაკი", მესამე და მეოთხე ადგილებზეა თბილისისა და ლენინგრადის "დინამო", მეხუთეზე – მოსკოვის "ცდკა".

ახ. კომუნისტი 22 ივლისი 1948 წ.